



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №118/17

-- 2017 წლის 03 ივლისის №118 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №118/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 20 ივნისს მოსამართლე -- განიხილა და არ დააკმაყოფილა საჩივარი, რომლითაც ბრალდების მხარე ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის განჩინების გაუქმებას -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის თაობაზე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია მოსამართლემ არ დააკმაყოფილა საჩივარი, თუმცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, განჩინებაში მიუთითა ისეთ გარემოებებზე რაც არ განეკუთვნება საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის უფლებამოსილებას. კერძოდ, -- საჩივრის თანახმად, მოსამართლემ განჩინების დასაბუთებისას აღნიშნა, რომ „ამ ეტაპზე არ არსებობს --

მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.” -- შეფასებით, აღნიშნული ფრაზის გამოყენებით მოსამართლემ განზრახ შეუქმნა პროკურატურას შესაძლებლობა, რომ მომავალში კვლავ დააყენოს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი და გაგრძელდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- 2017 წლის 03 ივლისის №118 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

3. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე -- 2017 წლის 15 ივნისს, საჯარო სასამართლო სხდომაზე განიხილა ბრალდებულ -- მიმართ პროკურორ -- შუამდგომლობა - აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

-- სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის 10დ/2743 განჩინებით, ბრალდებულ -- მიმართ არ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ 2017 წლის 15 ივნისის განჩინება პროკურორმა -- გაასაჩივრა -- სააპელაციო სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე -- 2017 წლის 20 ივნისს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და არ დააკმაყოფილა პროკურორ -- საჩივარი. მოსამართლემ განჩინების დასაბუთებისას აღნიშნა რომ: „სასამართლომ შეამოწმა შუამდგომლობის დასაბუთებულობა, ა/ღონისძიების გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები და მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კონკრეტული ფორმალური საფუძველი.”

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის

ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სსსკ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მოსამართლემ შეისწავლა -- აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ განჩინების გამოტანის მომენტისთვის არ არსებობდა -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹²-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹⁰-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75¹²-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №118/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი